

# ხობის მოამბე

№5(7096) 18 მარტი, ორშაბათი, 2013 წელი.
ფასი 50 თეთრი.

ხობის მუნიციპალიტეტის გაზეთი

## საკრებულოს სხდომის მთავარი თემა—მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარება და ანგარიშების მოსმენა

2013 წლის 7 მარტს ჩატარდა ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომა, რომელიც საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა ქარდავამ გახსნა.

სხდომას ესწრებოდნენ ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი კახაბერ ბენიძე, საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები, საკრებულოსა და გამგეობის წარმომადგენლები.

საკრებულოს სხდომაზე განხილულიქნა 17 საკითხი, მათ შორის საკრებულოს მიერ დაფუძნებული იურიდიულ პირთა ხელმძღვანელების მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის ანგარიშები.

**საკრებულოს სხდომის დღის წესრიგი:**

„ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის 29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: მ. ქარდავა-საკრებულოს თავმჯდომარე;*

*თანამომხსენებელი: დ. ჭოჭუა- გამგეობის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი).*

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 1 ოქტომბრის 10 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: მ. ქარდავა- საკრებულოს თავმჯდომარე;*

*თანამომხსენებელი: კ. ბენიძე- ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მ. შ.).*

„ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის 26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: მ. ქარდავა- საკრებულოს თავმჯდომარე;*

*თანამომხსენებელი: კ. ბენიძე- ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი.)*

„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულია რასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ დადგენილების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: გ. ქაჯაია- ეკონომიკური განვითარების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე).*

„საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ხობის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროექტების თაობაზე საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: ბ. ჯობავა- ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი).*

„ხობის მუნიციპალიტეტის ბალანსიდან ჩამოსაწერი ქონების საპრივატიზებო ნუსხის დამტკიცების შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: ა. სართანია- გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი).*

„საწვავისა და ფიჭური სატელეფონო მომსახურების ხარჯების ლიმიტის განსაზღვრის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის 8 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ განკარგულების პროექტის განხილვა.

*(მომხსენებელი: ბ. ჯიქია-საფინანსო-სარევიზიო კომისიის თავმჯდომარე).*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ბ. ნადარაია-ცენტრის დირექტორი).*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ნ. შამათავა-გაერთიანების დირექტორის მ.შ.).*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულიპირი „ხობის მუნიციპალიტეტის განათლების ცენტრის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ხ. ხორავა-ცენტრის დირექტორი)*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: შ. საბახტარაშვილი–ცენტრის დირექტორი).*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის პროფესიული სწავლების ცენტრის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ნ. იოსავა-ცენტრის დირექტორის მ.შ.).*

ანგარიშის მოსმენა შ.პ.ს „ხობის მოამბეს“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: მ. ლაგვილავა-შ.პ.ს „ხობის მოამბეს“ დირექტორი).*

ანგარიშის მოსმენა შ.პ.ს „დასუფთავება და განათება“-ს მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ა. ზაქარაია–„დასუფთავება და განათება“-ს დირექტორის მოადგილე)*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ი. გაბუნია–სათნოების სახლის დირექტორის მ.შ.)*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ კოლხეთის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ი. კანკავა-საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ დირექტორის მ.შ.).*

ანგარიშის მოსმენა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო სკოლის“ მიერ 2012 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

*(მომხსენებელი: ზ. ლატარია- „საფეხბურთო სკოლის“ დირექტორის მ.შ).*

საკითხთა განხილვის და ანგარიშების მოსმენის შემდეგ, სხდომა დახურულად გამოცხადდა.

## სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა 15 თვიდან 12 თვემდე მცირდება



შესაბამისი ცვლილება მთავრობამ სხდომაზე დაამტკიცა.

საქართველოს პროფესიულ არმიაზეგადასვლის პირველი ეტაპის ფარგლებში დამტკიცდა ცვლილებები, რომლითაც 12 თვემდე მცირდება სამხედრო სავალდებულო სამსახურის ვადა, რომელიც აქამდე 15 თვით იყო განსაზღვრული.

ასევე, კიდევ ერთი ცვლილებით, ახალგაზრდებს, რომლებსაც ერთიანი, როვნული გამოცდების მონაწილეობის მიღების განაცხადი აქვთ შევსებული, მიეცემათ სამხედრო სამსახურში გაწვევის და გადავადების ვადა იქამდე, ვიდრე გამოცდის შედეგებს არ გაიგებენ,–განაცხადა მთავრობის სხდომის დაასრულების შემდეგ თავდაცვის მინისტრმა ირაკლი ალასანიამ. მისივე განმარტებით, სრულად საკონტაქტო პროფესიულ არმიაზე გადასვლასთან დაკავშირებით მიმდინარეობს საკანონმდებლო ცვლილებებზე მუშაობა.

## ტრენინგი მუნიციპალიტეტის რწმუნებულებთან

15 მარტს, მუნიციპალილიტეტის საკრებულოს სხდომათა დარბაზში ტრენინგი სასოფლო-სამეურნეო ბარათის დარიგებისა და გამოყენების წესის შესახებ ჩატარდა.

ტრენინგი სურსათისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენლებმა დავით ცაგურიშვილმა, ვლადიმერ გერმესაშვილმა და ფონდის თანამშრომელმა დავით ხოხობაშვილმა ჩაატარეს.

სტუმრებმა სასოფლო-სამეურნეო ბარათების ჩაბარების და შევსების შესახებ დაწვრილებითი ახსნა განმარტების შემდეგ მსმენელთა შეკითხვებს უპასუხეს და ქალაქისა და სოფლის რწმუნებულებს გადასცეს ბარათები, რომმელიც ბენეფიციარებს ხუთი დღის ვადაში უნდა დაურიგდეთ.

ტრენინგს ესწრებოდნენ მუნიციპალიტეტის გამგეობის და საკრებულოს ხელმძღვანელები, მათი მოადგილეები და სოფლის მეურნეობის დარგის მუშაკები.

ტრენინგზე ისაუბრეს აგრეთვე სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის მზადყოფნაზე, რაც უზრუნველყოფს მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების დროულ შესრულებას.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №1,2,3.

>>>>>>>> 2-3

### მარხვა—უფლისთვის მცირე შესაწირავი



## აღდგომის დიდი მარხვა დაიწყო

>>>>>>>> 6

დაიჯესტი

## საქართველოს პრემიერ მინისტრის ბიძინა ივანიშვილის პრესკონფერენცია



საქართველოს პრემიერი რეგიონული მედიის წარმომადგენლების შეკითხვებს 4 საათის განმავლობაში პასუხობდა. ივანიშვილმა საკონსტიტუციო ცვლილებების საკითხზე , ქვეყნის საგარეო პრიორიტეტებზე, ამერიკასა და რუსეთთან ურთიერთობასა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე დასმულ შეკითხვებს უპასუხა. მან მედიას თვითმმართველობის რეფორმირების სტრატეგიაც გააცნო. გარდა ამისა პრესკონფერენციაზე სასამართლო რეფორმა, საზოგადოებრივი მაუწყებელი, ტარიფები, რეგიონული პროექტები, საგარეო კურსიც იქნა განხილული.

## ბიძინა ივანიშვილის წერილი „ევროპის სახალხო პარტიას“

ბიძინა ივანიშვილის ვრცელი წერილი ევროკავშირის ოფიციალურ ვებგვერდზე, „ეუროპიან ვოისზე“ გამოქვეყნდა. პრემიერი წერილში დეტალურად საუბრობს ყოფილი ხელისუფლების დროს ქვეყანაში არსებულ ვითარებაზე. ბიძინა ივანიშვილი წერილში ევროპარლამენტარებს ინფორმაციას აწვდის, თუ რა ვითარება იყო კოალიცია „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლამდე მართლმსაჯულების სისტემაში, საკონსტიტუციო კუთხით, წინასაარჩევნო გარემოსა და ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში, მედიაში და ხელისუფლების შტოებში. ბიძინა ივანიშვილი ევროპარლამენტარებს მიუთითებს, რომ ყოფილი ხელისუფლების დროს მათი რეაქცია დაგვიანებული იყო ძალადობის ფაქტებთან დაკავშირებით, მაშინ, როდესაც 8 თებერვლის ინციდენტის შემდეგ, განმარტებების მიუხედავად, ევროპელებმა ახალი სახელისუფლებო გუნდი გააკრიტიკეს. ევროპარლამენტარებისთვის გაგზავნილ წერილზე პრემიერ-მინისტრმა რეგიონულ მედიასთან შეხვედრაზეც ისაუბრა.

## სასჯელაღსრულების დეპარტამენტის (სად) უფროსად ყოფილი პროკურორი მიხეილ ღურწკაია დაინიშნა



მიხეილ ღურწკაია სასჯელაღსრულების სამინისტროში პროკურატურიდან გადავიდა. რაც შეეხება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ყოფილ ხელმძღვანელს მაია ხასიას, ის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის ხელმძღვანელად გადაიყვანეს.

## ახალი პაპი ლათინოამერიკელი და ფეხბურთის ფანია



რომის ახალმა პაპმა ფრანცისკ პირველმა უკვე მიმართა მორწმუნეებს წმინდა პეტრეს ტაძრის აივნიდან. მისი პირველი სიტყვები იყო: „დებო და ძმებო, საღამო მშვიდობისა“.

ახალი პაპი აირჩიეს სიქსტის კაპელაში, სადაც ტრადიციისამებრ 115-წევრიანი კონკლავი შეიკრიბა. კარდინალებს ეკლესიის ახალი მეთაურის ასარჩევად 5 კენჭისყრის ჩატარება დასჭირდათ. სწორედ მეხუთე კენჭისყრის შემდეგ სიქსტის კაპელის მილიდან თეთრი კვამლი ამოვიდა,- იმის მაუწყებელი, რომ კათოლიკურ ეკლესიას ახალი მეთაური ჰყავს.

იცნობდეთ რომის ახალ პაპს, - ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსი ხორხე მარიო ბერგოლიო, რომელსაც არჩევის შემდეგ ფრანცისკ პირველი ეწოდა.

ის პირველი ლათინოამერიკელი და პირველი იეზუიტთა ორდენის წევრი პაპია.

ფრანცისკ პირველი არგენტინაში 1936 წელს დაიბადა და მთელი ცხოვრება სამშობლოში გაატარა. ის დოქტრინალური კონსერვატიზმისა და უბრალოების მომხრეა და როგორც ამბობენ, მას შემდეგაც კი, როცა 2011 წელს ბუენოს-აირესის არქიეპისკოპოსად აირჩიეს, მძღოლზე უარი თქვა და მანქანასაც თავად ატარებდა და საჭმელსაც თვითონვე იმზადებდა.

თავისი ლათინოამერიკული ტემპერამენტის დამსახურებით, ახალი პაპი ფეხბურთის თაყვანისმცემელი და არგენტინული კლუბის - „სან-ლორენსო ალმაგროს“ ფანიც ყოფილა.

## ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №3

**2013 წლის 28 თებერვალი. ქ.ხობი**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონისა და „სახელმწიფო და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 26 ოქტომბრის N603 ბრძანებულების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. დადგინდეს ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი თანახმად დანართისა.

2. დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად ჩაითვალოს „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 25 თებერვლის N21 დადგენილება.

3. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე
**მამუკა ქარდავა.**

**დანართი**

### ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2013 წლის 28 თებერვლის N3 დადგენილებისა

**ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი**

1. ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ხობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1 კვადრატული მეტრი მიწის ნორმატიული ფასი (შემდგომში - „მიწის ნორმატიული ფასი“) დგინდება შესაბამის ადგილზე არსებული მიწის საბაზრო ფასის გათვალისწინებით და გამოიანგარიშება შემდეგი ფორმულის მიხედვით:

CN=IMG x ITL x C x K, სადაც:

ა) CN - არის ერთი კვადრატული მეტრი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი;

ბ) IMG - არის ქ. ხობის მაკრომდებარეობის ინდექსი, რომელიც შეადგენს 0,43-ს;

გ) ITL - არის ლოკალური ტერიტორიული ინდექსი, რომელიც უდრის 1-ს;

დ) C - არის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე დადგენილი საბაზისო განაკვეთი და მისი მნიშვნელობა უდრის 0,24 ლარს.

ე) K - არის მიწის ნორმატიული ფასის მარეგულირებელი კოეფიციენტი და მისი მნიშვნელობა უდრის 120-ს.

2. პირველი პუნქტის მიხედვით ქ. ხობში მიწის ნორმატიული ფასი დადგინდეს შემდეგი სახით:

| $I_{MG}$ | $I_{TL}$ | C | K | $C_N$ (ლარი) |
|---|---|---|---|---|
| 0,43 | 1 | 0,24 | 120 | 12,38 |

3. ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 30%-ის ოდენობით და იგი შეადგენს - 3.71 ლარს.

4. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 25%-ის ოდენობით და შეადგენს - 3.1 ლარს.

5. ხობის მუნიციპალიტეტის დასახლებათა შორის არეალებში გამავალი „საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2011 წლის 27 მაისის N287 ბრძანებულებით განსაზღვრულ საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების 50 მეტრის რადიუსში (თითოეულ მხარეს) არსებული მიწის ნორმატიული ფასი დადგენილია ქ. ხობში დადგენილი ფასის 50%-ის ოდენობით და იგი შეადგენს 6.19 ლარს. ამ შემთხვევაში არ გამოიყენება მე-3 და მე-4 პუნქტებში აღნიშნული წესი.

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №1

**2013 წლის 28 თებერვალი. ქ.ხობი**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კანონის „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის“ 78-ე მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

**1. 2013 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით დაზუსტებულმა ფაქტიურმა ნაშთმა შეადგინა 1105,3 ათასი ლარი, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული სპეციალური ტრანსფერის ასიგნებებიდან 92,9 ათასი ლარი. ამდენად ,,ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 28 დეკემბრის N29 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული ნაშთის ოდენობა იზრდება 1095,3 ლარით.**

**2. 147.3 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:**

ა) 101.7 ათასი ლარით იზრდება შემოსავლების მუხლი ,,ქონების გადასახადი“, კერძოდ: ,,ქონების გადასახადი არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწაზე იურიდიული პირებიდან“;

ბ) 11,5 ათასი ლარით იზრდება შემოსავლების მუხლი ,,გრანტები“, კერძოდ: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად;

გ) 28,5 ათასი ლარით იზრდება შემოსავლების მუხლი ,,სხვა შემოსავლები“, კერძოდ: შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან;

დ) 5,6 ათასი ლარით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, აქედან: 5,6 ათასი ლარი - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან;

**3. 4,3 ათასი ლარით მცირდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ:**

ა) 4,3 ათასი ლარით არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება, აქედან: 4,3 ათასი ლარი - შემოსავლები მომსახურების გაწევიდან;

**4. „ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2010 წლის 12 ივლისის N5 დადგენილების შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის 2013 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია შემდეგი გადანაწილებები:**

ა) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 25 იანვრის N75 ბრძანებით ადგილობრივი ბიუჯეტით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობისათვის დამტკიცებულ ასიგნებებში 14,0 ათასი ლარით შემცირდა ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“–ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი“ ასიგნება და 14,0 ლარით გადიდდა ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა არამატერიალური აქტივები“ ასიგნება;

ბ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 1 თებერვლის N98 ბრძანებით ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის წვევამდელთა, რეზერვისტთა, სამხედრო აღრიცხვის, გაწვევის და მობილიზაციის სამსახურისთვის ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 1,5 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება და 1,5 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“ „ოფისის ხარჯები“–ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და საგამომცემლოსასტამბო ხარჯები“ ასიგნება.

გ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 8 თებერვლის N107 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბი კოლხეთის“ ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 0,8 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „სხვა მცირეფასიანი ინვენტარის შეძენა და დამოტაჟება“ ასიგნება და 0,8 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება.

დ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 21 თებერვლის N120 ბრძანებით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბ „კოლხეთის“ ადგილობრივი ბიუჯეტით დამტკიცებულ ასიგნებებში 4,85 ათასი ლარით შემცირდა ,,საქონელი და მომსახურება“ „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „შენობანაგებობების მიმდინარე რემონტის ხარჯი“ ასიგნება, 3,1 ათასი ლარით შემცირდა ,,საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „რბილი ინვენტარი“ ასიგნება, 8,2 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის ,,კვების ხარჯები“ ასიგნება და 6,81 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „მივლინებები“ ასიგნება, 3,3 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს „ოფისის ხარჯები“-ს ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის „ოფისის ხარჯი, რომელიც არ არის კლასიფიცირებული“ ასიგნება, 6,04 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება.

ე) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 21 თებერვლის N121 ბრძანებით ადგილობრივი ბიუჯეტით მუნიციპალიტეტის საკრებულოსათვის დამტკიცებულ ასიგნებებში 1,2 ათასი ლარით შემცირდა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,შრომის ანაზღაურება“ ასიგნება და 1,2 ათასი ლარი მიიმართა ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლის ,,სოციალური უზრუნველყოფა“ ასიგნებაზე;

ვ) ხობის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2013 წლის 21 თებერვლის N122 ბრძანებით _ადგილობრივი ბიუჯეტით ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის“ დამტკიცებულ ასიგნებებში 2,34 ათასი ლარით შემცირდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“ ასიგნება და 2,34 ათასი ლარით გადიდდა „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „კვების ხარჯები“ ასიგნება.

**5. ფაქტიური ნაშთის ზრდა 1095,3 ათასი ლარი და შემოსულობების ზრდით მისაღები 143.0 ათასი ლარი, სულ 1238.3 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:**

**ა) აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების (პროგრამული კოდი 01 00) ხარჯებზე 271,1 ათასი ლარი, კერძოდ:**

ა.ა) 6.5 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის საკრებულოს (პროგრამული კოდი 01 01) ასიგნებას, აქედან: 3,1 ათასი ლარი მუხლი „შრომის ანაზღაურება“–ს ასიგნება, 0,4 ათასი ლარი „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „ოფისის ხარჯები“ ასიგნება, 3,0 ათასი ლარი „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება;

ა.ბ) 248,6 ათასი ლარი მუნიციპალიტეტის გამგეობის (პროგრამული კოდი 01 02) ასიგნებას, აქედან:

ა.ბ.ა) 18,4 ათასი ლარი – მუხლი „შრომის ანაზღაურება“–ს ასიგნება;

ა.ბ.ბ) 12,0 ათასი ლარი – მუხლი „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება“–ს ასიგნება;

ა.ბ.გ) 58,0 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „ოფისის ხარჯები“ ასიგნება;

ა.ბ.დ) 4,5 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება;

ა.ბ.ე) 24,1 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლი „ტრანსპორტისა და ტექნიკის ექსპლოატაციის და მოვლა-შენახვის ხარჯები“-ს ასიგნება;

ა.ბ.ვ) 131,6 ათასი ლარი – მუხლი „არაფინანსური აქტივების ზრდა“–ს ასიგნება;

ა.გ) 16,0 ათასი ლარი წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფინანსური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 01 05) ასიგნებაზე;

**ბ) პრიორიტეტი თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (პროგრამული კოდი 02 00) ასიგნებებზე 268,0 ათასი ლარი, კერძოდ:**

ბ.ა) 261,4 ათასი ლარი საგანგებო სიტუაციების მართვის პროგრამის (ორგანიზაციული კოდი 02 01) ასიგნებაზე, აქედან: 1,0 ათასი ლარი – მუხლი „შრომის ანაზღაურება“–ს ასიგნება, 0,4 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „ოფისის ხარჯები“ ასიგნება, 260,0 ათასი ლარი – მუხლის „არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

ბ.ბ) 6,6 ათასი ლარი ქვეყნის თავდაცვის უნარიანობის ამაღლების ხელშეწყობის პროგრამის (პროგრამული კოდი 02 03) ასიგნებაზე, აქედან: 0,6 ათასი ლარი – მუხლი „შრომის ანაზღაურება“–ს ასიგნება, 4,0 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის ,,ოფისის ხარჯები“ ასიგნება, 2,0 ათასი ლარი – „საქონელი და მომსახურება“-ს მუხლის „სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურება“ ასიგნება;

**გ) პრიორიტეტი ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია (პროგრამული კოდი 03 00) ასიგნებებზე 509,5 ათასი ლარი, კერძოდ:**

გ.ა) 3,6 ათასი ლარი პროგრამის საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა შენახვა (გზები და ხიდები) (პროგრამული კოდი 03 01) ქვეპროგრამის გზების მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01 01) ასიგნებაზე;

გ.ბ) 409,0 ათასი ლარი პროგრამის კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02) ქვეპროგრამის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული აქტივების რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 03 02 03) ასიგნებაზე;

გ.გ) 90,4 ათასი ლარი პროგრამის კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02) ქვეპროგრამის სანიაღვრე არხების მშენებლობა რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 04) ასიგნებაზე;

გ.დ) 2,3 ათასი ლარი პროგრამის ვეტერინარიის ხარჯები (პროგრამული კოდი 03 03) ასიგნებაზე;

გ.ე) 4,2 ათასი ლარი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის (პროგრამული კოდი 03 05) ასიგნებაზე;

**დ) პრიორიტეტი განათლება (პროგრამული კოდი 04 00) ასიგნებაზე 163.7 ათასი ლარი, კერძოდ:**

დ.ა) 163,7 ათასი ლარი პროგრამა სკოლამდელი განათლების დაფინანსება (პროგრამული კოდი 04 01) ასიგნებაზე, აქედან: 159,0 ათასი ლარი – მუხლის „სუბსიდია“ ასიგნება, 4,7 ათასი ლარი მუხლი ,,არაფინანსური აქტივების ზრდა“ ასიგნება;

**ე) პრიორიტეტი კულტურა, რელიგია ახალგაზრდული და სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 00) ასიგნებაზე 19,3 ათასი ლარი, კერძოდ:**

ე.ა) 0,6 ათასი ლარი პროგრამა სპორტის განვითარების ხელშეწყობას (პროგრამული კოდი 05 01) ქვეპროგრამა ფეხბურთის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 04) ასიგნება;

ე.ბ) 18,7 ათასი ლარი პროგრამა კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02) ქვეპროგრამის ძეგლთა დაცვის ხარჯები (პროგრამული კოდი 05 02 02) ასიგნება;

**ვ) პრიორიტეტი მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00) ასიგნებაზე 6,7 ათასი ლარი, კერძოდ:**

ვ.ა) 4,9 ათასი ლარი პროგრამის საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01) ასიგნება, აქედან: 4,9 ათასი ლარი – მუხლის „სუბსიდია“ ასიგნება;

ვ.ბ) 1,8 ათასი ლარი პროგრამა მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 03) ქვეპროგრამის უმწეოთა სასადილო და ხანდაზმულთა ბინაზე მომსახურება (პროგრამული კოდი 06 03 05) ასიგნება;

**6. დადგენილების თავი I, თავი, II, თავი III ჩამოყალიბდეს თანახმად დანართისა.**

**7. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.**

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ქარდავა.**

# ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №2

**2013 წლის 28 თებერვალი. ქ.ხობი**

**„ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N14 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ხობის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადგილობრივი (ქონების) გადასახადის შემოღებისა და მისი განაკვეთების განსაზღვრის თაობაზე“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 მარტის N14 დადგენილებაში („საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, ვებგვერდი, 120103033, 06.04.2012 წ., სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 200130000.35.106.016063) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

ა) დადგენილების პრეამბულა ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „მ“ ქვეპუნქტის, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-3$^{1}$ და მე-5 ნაწილების, 204-ე მუხლის პირველი-მე-3 ნაწილების, 206-ე მუხლის პირველი ნაწილის „პ$^{2}$“ ქვეპუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“;

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-4 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 4.**

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებისა და სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში გამოყენებული ტყის მიწების ერთ ჰექტარზე ქონების გადასახადის წლიური განაკვეთებია:

ა) სახნავისა (მათ შორის, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული მიწა, საბაღე, საბოსტნე) და საკარმიდამოსთვის - 76 ლარი;

ბ) ბუნებრივი და გაკულტურებული სათიბებისთვის - 20 ლარი;

გ) ბუნებრივი და გაკულტურებული საძოვრებისთვის - 16 ლარი.“;

გ) დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-5 მუხლი ამოღებულ იქნეს.

2. დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე და მისი მოქმედება გავრცელდეს 2013 წლის 1 იანვრიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

*საკრებულოს თავმჯდომარე*
**მამუკა ქარდავა.**

ინტერვიუ



**მოვიდა ახალი ხელისუფლება თავისი გუნდით და თან გადაახალისა როგორც საკანონმდებლო, ასევე აღმასრულებელი ორგანოები და მათში შემავალი სამსახურები...**

**ხობის მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალი რწმუნებულები დაინიშნენ, მათ შორის ქალები.**

**მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლად გურიფულის თემში დაინიშნა ახალგაზრდა ქალბატონი ნანა გვასალია.**

**გაზეთ „ხობის მოამბეს" გაზაფხულის პირველი თვის პირველი ნომრის სტუმარი სწორედ ნანა გვასალია გახლავთ.**

# „ხვალინდელ დღეს ოპტიმისტურად ვხედავ!.."

***ვინ არის ნანა გვასალია?***

–ნანა გვასალია არის ადამიანი, რომელიც მთელი ცხოვრება ილწვოდა გამხდარიყო მხატვრული და კულტურული შემოქმედების სუბიექტი, რადგანაც მხატვრული შემოქმედების სუბიექტი ხელოვანია, რომელსაც ესმის ხელოვნება და ცხოვრობს ხელოვნებით. ასევე, მასში იგულისხმება ადამიანი, ვისაც აქვს მხატვრული ლიტერატურის აღქმის და შემოქმედების უნარი, ანუ მხატვრული განცდა, რომელიც უპირველესად იწყება ფანტაზიის სიჭარბიდან და განათლებიდან. ვფიქრობ, ორივე მეტნაკლებად გამაჩნია. აქედან გამომდინარე, ნანა არის ადამიანი, რომელიც ნებისმიერ საქმეს მიუდგება ამ განწყობით, ანუ ჰუმანიზმით.

ცოტა რამ ჩემი ბიოგრაფიიდან:

დავიბადე ქ. ხობში 1988 წლის 23 მაისს. 2005 წელს დავამთავრე ქ. ხობის ჟიული შარტავას სახელობის №1 საჯარო სკოლა. იმავე წელს ჩავირიცხე ქალაქ თბილისის რუსეთ-საქართველოს ჰუმანიტარულ უნივერსიტეტში ლინგვისტიკის ფაკულტეტზე, რომელიც 2010 წელს დავამთავრე ინგლისური ენისა და ლიტერატურის სპეციალობით. 2006 წელს ქ. თბილისის საერთაშორისო უნივერსიტეტში „გორგასალი" იურიდიულ ფაკულტეტზე მოვეწყვე, რომელიც 2011 წელს სამართალმცოდნეობის სპეციალობით დავამთავრე. 2006-2010 წლებში ვმუშაობდი ლიტერატურულ გაზეთ „მწერლობა XXI" მთარგმნელობითი განყოფილების გამგედ. 2007 წლის 15 მაისიდან 2012 წლის 20 მაისამდე ვმუშაობდი პოსტინდუსტრიულ კვლევით ცენტრში უფლებადამცველად.

წლების განმავლობაში ვეწეოდი მთარგმნელობით საქმიანობას. ვიბეჭდებოდი ჟურნალებში „ხელეური", „მწერლობა XXI", „ლიტერატურული გაზეთი".

2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში ვიყავი №8 გურიფულის საუბნო საარჩევნო კომისიის წევრი. 2013 წლის 14 იანვრიდან ვმუშაობ ხობის მუნიციპალიტეტის რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებლად გურიფულის თემში.

***ხობში თქვენი სამსახურებრივი „ნათლობა" თქვენივე სოფლიდან დაიწყო. სოფლიდან, რომელიც თქვენთვის ძალზე მშობლიურია და საყვარელი. გურიფულის ერთი უბანი თქვენი „ოდაბადეა", მეორე „დედულეთი", ხალხსაც იცნობთ, თითქმის ყველა ახლობელია. რა გრძნობა დაგეუფლათ, როდესაც თანასოფლელებს ამ ამპლუაში შეხვდით, იგრძენით მათი თანადგომა? ალბათ ეიმედებით, რატომ?***

–მართალს ბრძანებთ. გურიფული ჩემთვის უფრო დიდია, ვიდრე თვალის ერთი შევლებით შეიძლება ჩანდეს. მე შეიძლება ვერ გავაკეთო ის, რასაც მხატვრული ლექსი ამბობს:

„სანთლის გუთანს გავაკეთებ,
შიგ შევაბამ უღელ-დევსა,
ზღვაში ვხნავ და ზღვაში
ვთესავ,
ხმელზე ვინადირებ თევზსა."

ის, რისი გაკეთების შესაძლებლობა არ მაქვს, ვერ გავაკეთებ, მაგრამ, ვეცდები, თითოეული გურიფულელის დესპანი ვიყო ყველგან და ყველაფერში. გურიფული ჩემი დედულეთიცაა და მამულეთიც. პოეტის თქმისა არ იყოს, „რაც ერთხელ ცხოვლად სულს დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის."

თანადგომა თავისთავად ვიგრძენი, მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ საქმეში უფრო მეტად ვიგრძნობ მათ კეთილ მხარდაჭერას.

მთლიანად ჩემმა ოჯახმა დაიმსახურა ის, რომ გარკვეულწილად ბრძოლისთვის სიკეთის ფლაგმანი ყოფილიყო. აქედან გამომდინარე, ნიშა, რომელიც დილეტანტობას გაუწევდა ჩემს ოჯახს, წილობრივად ჩემი საკუთრებაცაა. ასე, რომ საფუძველი ჩემდამი ნდობისა, ნამდვილად არსებობს.

***ძალზე პრესტიჟულ და ამავდროულად დატვირთულ საქმეს შეეჭიდეთ. შემოთავაზება იყო თუ თქვენი სურვილი? ვფიქრობ, ალბათ ორივე. უმთავრესი კი ხალხის ინტერესების დაცვა და სოფლის პრობლემების მოგვარებაზე ფიქრი გახლდათ. როგორ გგონიათ, შეძლებთ თავი გაართვათ ამ რთულსა და მნიშვნელოვან მისიას?***

–დავიწყოთ იქიდან, რომ ჩემი სურვილი ამ თანამდებობაზე მოხვედრა არ ყოფილა. იყო შემოთავაზება, რომელსაც დავთანხმდი, რადგანაც ჩემი აზრით, ეს თანამდებობა სამეურნეოცაა და პოლიტიკურიც. პოლიტიკური აზრი მაშინ იქნება აქტუალური, თუ ის შეეხება ადამიანისთვის ყველაზე მთავარს, მის ეგზისტენციას, მრწამსს, თავისუფლებას, ადგილს გარკვეულ სივრცეში და მის დანიშნულებას იგივე სივრცეში. ყოველივე ეს, ჩემთვის გასაგებია და გათვითცნობიერებული. აქედან გამომდინარე, ვეცდები, რომ სამეურნეო და სოციალური პრობლემების გათვალისწინებით, ყოველივეს თავი გავართვა. ნიჭიერება ხომ შეუძლებელის შეძლების ხელოვნებაა.

***პირველი საქმე, რომელიც უნდა განახორციელოთ, ანუ ყველაზე პრიორიტეტული?***

–პირველი საქმე მიწის პრობლემის მოგვარებაა, რადგანაც სირთულეა მიწის საკუთრების, საიჯარო კუთვნილების თვალსაზრისით, ასევე პასპორტიზაციის კუთხითაც, მაგრამ დარწმუნებული ვარ, გამგეობის სპეციალისტების და სოფლის აქტივისტების დახმარებით, ყოველივეს თავს გავართმევ.

***რას იტყოდით ბარათებზე (ვაუჩერებზე), რომელიც მოსახლეობას დაურიგდება საგაზაფხულო სამუშაოების საწარმოებლად. ალბათ, ხალხი ინფორმირებულია და მოლოდინიც დიდია. მისი გაცემა როდის იგეგმება?***

–ბარათების დარიგება მარტის თვიდან დაიწყება. საქართველოს უახლოეს ისტორიაში ეს გახლავთ პირველი კეთილმყოფელი აქცია სახელმწიფოს მხრიდან გლეხების სასარგებლოდ, რომლის მთავარი მიზანია არც ერთი გლეხი, არცერთი სოფლის მცხოვრები არ დარჩეს მოუხნავი, დაუმუშავებელი და დაუთესავი მიწის გარეშე. ეს გახლავთ კოალიცია „ქართული ოცნების" საარჩევნო დაპირების შესრულების პირველი ეტაპი. თანდათან სხვა პროგრამებიც შესრულდება. თქვენ კარგად უწყით, ამ მხრივ სოფლის მეურნეობის განვითარების „ოცნებისეული" პროგრამა, რომელიც სრულიად სხვა ეტაპზე გადაიყვანს ჩვენს სოფელსა და მშრომელ ადამიანს. ხალხი ინფორმირებულია, როგორც ბეჭდვური, ისე ელექტრომედიის საშუალებით.

***ალბათ გაეცანით იმ გასაკეთებელ საქმეთა ნუსხას, რაც თანასოფლელებმა სოფლის წინა ხელმძღვანელთან ერთად 2013 წლისთვის გადაწყვიტა. რაიმე შეიცვალა თუ... ძირითადად მაინც რა უნდა გაკეთდეს ან შეიცვალოს და რომელ უბანში?***

–რა თქმა უნდა გულდასმით გავეცანი. მიმაჩნია, რომ გასაკეთებელი საქმე უნდა შესრულდეს, მაგრამ, ყოველივე დამოკიდებული არის ბიუჯეტზე და იმ შესაძლებლობებზე, რაც განისაზღვრება ჩვენი სოფლის განვითარების პროგრამიდან გამომდინარე. ასე რომ, წინასწარ ამაზე საუბარი ნაადრევად მიმაჩნია.

***სოფელში კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მშენებლობა რა ეტაპზეა, მალე შევა ექსპლოატაციაში?***

***მისასალმებელია, რომ სოფელში ბევრი მორწმუნე და ეკლესიური ადამიანია. თქვენ ხართ ეკლესიური? ხშირად დადიხართ ტაძარში? მარხულობთ? გჯერათ ღვთის წყალობის?***

–წმინდა კვირიკესა და ივლიტას სახელობის ეკლესიის მშენებლობა მიმდინარეობს. მისი საბიუჯეტო შესაძლებლობები ჩემთვის უცნობია, მაგრამ უახლოეს პერიოდში გავეცნობი და ვეცდები განსაკუთრებული წვლილი შევიტანო ამ უფლისმიერად ამაღლებულ საქმეში. გახლავართ მორწმუნე, ვინახავ მარხვას, შეძლებისდაგვარად ვცხოვრობ ეკლესიური ცხოვრებით.

ღვთისმიერი წყალობა ჩემი ყოველდღიური ცხოვრების მუდმივი თანმდევია. ღვთისმშობლისა და მაცხოვრის მადლის იმედად დავდივარ, ვცხოვრობ და „ვიქმ საქმესა კეთილს".

***ნანა, რასაკვირველია, მეგობრები გყავთ. თქვენ როგორი მეგობარი ხართ? ისინი? ბრძნული გამონათქვამისა არ იყოს–„მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი, ვინა ხარ შენ", ამართლებს?***

–ეს ბრძნული სენტენცია „მითხარი ვინ არის შენი მეგობარი და გეტყვი ვინა ხარ შენ",–მგონია რომ ბოლომდე ვერ გამოხატავს ქართულ სინამდვილეს. თუ რატომ, ამის გაშიფვრისაგან ამჯერად თავს შევიკავებ, რადგანაც „ქვის სიმსუბუქე" მრავალგზის დამწოლია იმათი მხრიდან, ვისგანაც არ მოველოდი. მაგრამ, მე ყოველთვის ვცდილობ, ყოველ ბოროტებასა და უგუნურებას სიკეთითა და გონიერებით ვუპასუხო. მე მიყვარს ჩემი მეგობრები, რადგანაც ისინი ჩემი ცხოვრების განუმეორებელი ნაწილია და თუ ვინმეს ოდნავად ვეიმედები, თავს ბედნიერად ჩავთვლი.

***რისი იმედი გაქვთ და რისი გჯერათ?***

–იმედი მაქვს უპირველესად უფლის, ჩემი ოჯახისა და საკუთარი თავის, შემდგომ ყველა იმ ადამიანის, ვინც კეთილ ხელს გამომიწვდის.

***როგორ დამოძღვრავთ თქვენს ხალხს, რას უსურვებდით თემში მცხოვრებ ადამიანებს?***

–უნდა ვიცოდეთ, რომ ადგილი, სადაც ვცხოვრობთ, ანუ გურიფული არის ამქვეყნიური სამოთხის ულამაზესი ადგილი, რომელსაც ანალოგი ჩემთვის და ყველა გურიფულელისთვის არ უნდა გააჩნდეს. როდესაც თავად მივუდგებით ამ განწყობით სოფელს, ჩვენვე ავმაღლდებით. არასოდეს სხვა ალაგი არ უნდა არჩიო შენს სოფელს. გალაკტიონისა არ იყოს:

„წავალ, სხვა მხარეს დავსახლდები,–სხვა საუკუნის
მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო კარგი ადამიანი!"

არანაკლებ ცოფი არ არის, არსად უკეთესი და უკეთესი ადამიანი!

***პოეზია რომ გიყვართ, ეს გასაკვირი არც არის (თქვენი ძმა, ლაშა მყავს მხედველობაში), მაგრამ ლიტერატურასა და ხელოვნებაზე ასე უზომოდ შეყვარებული რომ იყავით, არ მეგონა. საქმე, რომელიც ხობში თქვენ განდეს, თქვენთვის საყვარელი სფეროდან შორსაა, მაგრამ ალბათ, ერთია სიყვარული, მეორე–სამსახური და მოვალეობა.***

***ნანა, რას ნიშნავს თქვენთვის მარტი და რასთან, ან ვისთან ასოცირდება იგი. გყავთ კუმირი ქალი?***

–მარტი ჩემთვის ასოცირდება მზესთან, სიყვარულთან, სიცოცხლესთან და ახალ სიცოცხლესთან, როგორც ლადო ასათიანი იტყოდა, „დასრულდა თებერვლის ზამთრის ღამეები, მარტი, მარტოსულთა იწყებს გამზევებას."

მარტის დასრულების შემდგომ, აყვავდება ჩემი ბავშვობის სილამაზესთან დაკავშირებული სახლის წინ მდგარი მითაჟამინდელი მსხლის ხე და თავის თეთრ ყვავილებში ჩაილამაზებს მარტსაც და აპრილსაც. ამიტომაც, მარტი პროლოგია სამყაროს გაცოცხლებისა.

რაც შეეხება ჩემს კუმირ ქალბატონს, გახლავთ ინგლისის ყოფილი პრემიერ-მინისტრი მარგარეტ ტეტჩერი, რომელმაც მოახერხა ქალური ინტუიციითა და ლმობიერებით ახალი ეპოქის შექმნა, როგორც ინგლისისთვის, ასევე მთელი ევროპისთვის. მისი ნათქვამია: „ჩემი ცხოვრება იწყება იმით, რითაც უნდა დავასრულო: სიკეთე, სიძლიერე და მარადიულობა".

ყველა ქალბატონს ვულოცავ 3 და 8 მარტს, დედისა და ქალის დღეს და ქალური ბედნიერებით ცამდე ამაღლებას ვუსურვებ.

***როგორ უყურებთ საქართველოს მომავალს?***

–უაღრესად ოპტიმისტურად, ნათელ ფერებში ვხედავ ხვალინდელ დღეს და დარწმუნებული ვარ, კოალიცია „ქართული ოცნება" პრემიერ-მინისტრის ბატონი ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით, ჩვენს ქვეყანას გადაიყვანს ეკონომიკური ბედნიერების აღმატებულ სივრცეში!

**ესაუბრა ნანი კილასონია.**

დღესასწაული

## 8 მარტი ხობის მუნიციპალიტეტში



ხობში ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა მრავალშვილიან დედებს 8 მარტი მიულოცეს. სადღესასწაულო შეხვედრა ქალაქის კულტურის სახლში გაიმართა ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის, განათლების, სპორტის, ძეგლთა დაცვისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურისა და ა(ა)იპ „ხობის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის" ორგანიზებით. შესრულდა როგორც ხალხური, ასევე საესტრადო სიმღერები, ქართული ტრადიციული და სამეჯლისო ცეკვები. მოწვეული იყვნენ სტუმრები, მათ შორის ხობის სამების ტაძრის მოძღვარი მამა კირიონი, მეუღლესთან ერთად.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ინფორმაცია**

## „ჩემო საბრალო, მოხუცო დედა!"

როგორ შეიძლება შვილს დედა არ უყვარდეს, არ ოცნებობდეს იყოს დედასავით ლამაზი, ჭკვიანი, თბილი. როგორ შეიძლება იყო შვილი გოგო და ბავშვობაში არ ჩაიცვა დედის ყველაზე ლამაზი კაბა, მისი მაღალქუსლიანი ფეხსაცმელები, არ მიბაძო დედას საუბარში, ქცევაში... მაგრამ დედის სიყვარული უფრო მძაფრდება მაშინ, როცა შენ თვითონ ხდები დედა. ამ გრძნობას დედობის ზებუნებრივი ძალაც ემატება და მაშინ ხვდები, რა რთულია დედობა...

ახლა, როცა სამოცს გადავაბიჯე, შენ უკვე მოხუცი ხარ, არა და არ მინდა რომ დაბერდე.

დედა! მე მახსოვს შენი ახალგაზრდობა, ცხრამეტი წლისას უკვე მე გყავდი, თუმცა იშვიათად მახსოვს შენი ბედნიერი და ხალისიანი სახე, იშვიათად იმიტომ, რომ ცხოვრებამ ბევრი გამოცდა მოგიწყო. შენ, ბებიამ და დედაშენმა ობლობაში გაგზარდა. მამა სულ არ გახსოვდა, წამოიზარდე თუ არა უმცროს ძმაზე მოგიწია ზრუნვამ, როგორც დედა შვილს, ისე უვლიდი ოჯახის ერთადერთ პატარა „მამაკაცს", ბედნიერება და სიყვარული ძალიან ახალგაზრდას გეწვია. დღეები დღეებს მისდევდა და შენ დღე და ღამე მძიმე ჯაფაში ატარებდი, მაგრამ არ იღლებოდი, რადგან სამი შვილის და ოჯახის სიყვარული გკვებავდა. თითქოს გაგიმართლა, ტრიალ მინდორზე დასახლებულებმა, საკუთარი კარმიდამო, სახლი გაიჩინეთ, ისეთი, რომელზედაც იტყვიან „ავ თვალს არ შეეხედებაო". სწორედ მაშინ დაგატყდა თავს დიდი უბედურება–ერთადერთი და შენი გაზრდილი ძმის დაღუპვა. შენ შავებით დაიბურე, უკუღმა შეტრიალდა ერთ დროს გამოდარებული ცხოვრება, ორმოცდათორმეტი წლის მეუღლე დაკარგე, მას დედაშენიც მიჰყვა... ამის შემდეგ თითქოს შენს სახეზე ღიმილი დაიკარგა. არადა, როგორ გვინდოდა ღიმილიანი, მხიარული დედის სახე. ასე გაიარა წლებმა. ცხოვრებამ თავისი ქნა, შენ რაც სითბო და სიხარული დაგრჩა შვილიშვილებში ჩააქსოვე.

თითქოს დავიწყებას მიეცა წარსული, სევდიანი ღიმილიც კვლავ გაჩნდა შენს სახეზე, მუდამ შავებით მოსილს ფერადი სამოსიც შეგაპარეთ, თანდათან ფერმკრთალდებოდა და იცრიცებოდა წარსული, მომავალს იმედით შეხედე, შვილიშვილების საქორწილოდ ემზადებოდი, თანაც ის ლექსი უნდა წაგეკითხა მამამ რომ მოგიძღვნა ძალიან ადრე.

დედა! აქაც გიმუხთლა საწუთრომ. ასეთი მწუხარება შენ არასდროს გამოგიცდია... ბოლო ხანს ძილის წინ ლოცვისას ღმერთს მიმართავდი–ღმერთო, მაკმარე რაც სიმწარე ვნახე და ისე მომკალი, ამ სიბერის ჟამს ცუდი რამე არ მანახოო.

არა და არ დაგადგა საშველი. უმცროსი შვილიც მარადისობაში გასაცილებელი გაგიხდა.

ჩემო მოხუცო! ძალიან მინდა გაგამხნევო, გესაუბრო ყველაფერზე, მინდა მოგეფერო, ბევრჯერ გაკოცო და სულ მცირე ხნით მაინც დაგავიწყო წარსული, ვცდილობ, მოგაბრუნო სააქაოსკენ, მაგრამ...

ეს მისია შენმა მეორე ვაჟიშვილმა თავისდაუნებურად იკისრა, რომელსაც ახლა შენ უვლი, ეფოფინები, პატარა ბავშვივით ელოლიავები... და ღმერთს თხოვ, გაკმაროს ტანჯვა და გაჩუქოს ავადმყოფი შვილის სიცოცხლე.

ჩემო საბრალო, მოხუცო დედა, რამდენიმე დღეში ოთხმოცდაერთის გახდები, ტანჯვით, მწუხარებით, ცრემლებით ხვდები ამ დიდ ასაკს, მინდა მადლობა გითხრა სიცოცხლისათვის, რომელიც შენ გვაჩუქე, იმ სიყვარულისთვის, რომელიც შენ ჩაგვინერგე, იმ სითბოსთვის, რომლითაც დღესაც გვათბობ. მინდა მოგეფერო და დაგიკოცნო შენი ცრემლით სავსე თვალები, გაგამხნევო და ჩაგჩურჩულო–დედა, ძალიან მჭირდები, სჭირდები შენს შვილიშვილებს, შენს ოჯახს, რომელსაც მუდამ დედაბოძად ედექი, უნდა გაუძლო ღვთის ამდენ გამოცდას და ვაჟკაცურად შეხვდე ყველა განსაცდელს...

მიყვარხარ!

**მანანა შულაია**

## „შრომის სიყვარულია სიკეთის სათავე"



წლების წინ, ჩემი მეგობრისა და კოლეგის, ლეილა წოწონავას სასთუმალთან მჯდარი, სევდიანი და თვალცრემლიანი გავიცანი. შემდგომ მივხვდი, თავად მძიმე სენით (ყოველ შემთხვევაში ასეთი დიაგნოზით) დაავადებულის სიცოცხლე იმედად ჩამდგარიყო ჩემი მეგობრის და მძიმე სენით მოსალოდნელ უბედურებას შორის. შემდეგ წლებმა ჩაიარა, ის იმედიც გაიყოლა და ჩემი ლამაზი ახალგაზრდა მეგობრის სიცოცხლეც...

ახლა თბილ ოთახში ვსხედვართ, რბილ სავარძელზე ზის, ნაოჭებიან ხელებს დასცქერის და მიყვება „ტკბილი ცხოვრების მწარე ბალადას".

ქ. ხობში, ჭავჭავაძის ქუჩაზე მცხოვრები ლუშა ჭაავა–ნადარაია ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში დაბადებულა, შემდეგ ბედისწერამ ხობელ ჯაგუ ნადარაიას შეახვედრა.

–ეს ადგილი, ახლა სადაც ვცხოვრობთ, დაუსახლებელი იყო, ვიწვალეთ და საცხოვრებელ ადგილს დავამსგავსეთ. პატარა სახლი ჩავდგით და საკუთარი ჭერი მივიჩინეთ. ჩემი ცხოვრების მაგალითით შემიძლია სხვა დავარწმუნო, რომ შრომის სიყვარულია სიკეთის სათავე. 42 წლის მეუღლე გარდამეცვალა და 4 შვილით (უმცროსი 5 წლის იყო) დავრჩი მარტო, ახლობლების ამარა, კეთილ ადამიანებს რა გამოლევს მაგრამ ის პერიოდი იყო, სხვისი ობლებისთვის ვის ეცალა...

კოლმეურნეობაში დავიწყე მუშაობა, ბავშვებიც შრომას შევაჩვიე, ჩემი შესაძლებლობების ფარგლებში განათლებაც მივაღებინე,–მიყვება.

დედის ბედნიერება შვილების კეთილსინდისიერებაა. ხშირად ვფიქრობ, მძიმე სენით ვარ დაავადებული და ამ ასაკამდე როგორ მივაღწიე მეთქი. უკვე მოსწრებული მყავდა შვილები და მკურნალობაც არ მაკლდა, მაგრამ ეს მაინც იშვიათი შემთხვევაა. მჯერა, რომ მადლი არსებობს, დღესაც ვშრომობ, რაც შემიძლია ვეხმარები შვილებს, მათ ოჯახებს, ძილის წინ მათზე ვლოცულობ, როგორც გითხარით 4 შვილი ილია, მზისა, ნუგზარი და ტარიელი გავზარდე. ოჯახის გამართვაში დავეხმარე, დედის ხელი ყოველთვის და ყველა ასაკში ჭირდება ადამიანს, 8 შვილიშვილიდან ერთს თავად ყავს შვილიშვილი–ილია არჯევანიძე და ყველაზე პატარა ბარბარე ქარჩავა მიხანგრძლივებენ სიცოცხლეს. მეც მათი მოფერების მეტი რა შემიძლია, ხომ გაგიგიათ, ბებია-ბაბუებს პატარების ჭკუა აქვთო–იღიმება.

მე მიხარია, რომ ქალბატონი ლუშა 89 წლისაა და ასე კარგად გამოიყურება, კარგად აზროვნებს და მართლაც კარგად ცხოვრობს. რა თქმა უნდა, მისი შვილების კარმიდამო არ მაქვს მხედველობაში რაც მთავარია სიყვარულითაა გარემოსილი. შვილების, რძლების, სიძის და მათი მონაგარის სიყვარული, პატივისცემა და მოფერება არ აკლია.

შობის დღესასწაულზე დაბადებულს მომავალში 90 წელი შეუსრულდება... ბედნიერი დედა და ბებიაა. უდაოა, დრო და ავადმყოფობა დაამარცხა, კვლავ ფუსფუსებს სამზარეულოში, ლამაზ კარმიდამოში, სადაც გაზაფხული „აფეთქებულა".

საათის ისარი 5–ს გადასცდა, მივუყვები ჭავჭავაძის ქუჩას. მზეა და თითქოს მაინც სუსხია. ქალთა დღესასწაულების მზე „იკბინება". სუსხიანი მზე კიდევ ერთხელ მახსენებს, რომ ცხოვრებაც ასეა, ვის სუსხავს და ვის ათბობს, მაგრამ მაინც ლამაზად გრძელდება. შემდეგ ვფიქრობ, მოსვლის მიზეზი ვაუწყე, მაგრამ სასიამოვნო საუბრის დამთავრებისას გამომრჩა დედის დღე და 8 მარტი მიმელოცა. მაპატიეთ ქალბატონო ლუშა, მხოლოდ ჯანმრთელობას და მრავალი წლის სიცოცხლეს გისურვებთ, მრავალ დღესასწაულებს დაესწარით სახელოვან მონაგართან ერთად.

***მერი ლაგვილავა.***

## „დედის გული და კალთა გაგათბობს..."

ჭიშკარს მორიდებით მივადექი, დავიძახე...

აივნიდან შუა ხნის ქალბატონმა გამოიხედა, ხელები წინსაფარზე შეიწმინდა და ჩემსკენ გამოემართა. მისალმების შემდეგ სახლში შემიპატიჟა. ჩემთან არც საუბარი დაიზარა და გულღიად, თბილად გამიმასპინძლდა.

ის აქაურია, ჩვენებური. დღესაც მოფუსფუსე დიასახლისი, მზრუნველი დედა, შვილიშვილებზე უზომოდ შეყვარებული ბებია, სათნო, კეთილი და სამართლიანი ადამიანურ ურთიერთობებში. მეზობლისა და მეგობრის დამფასებელი და მოსიყვარულე, ქართული მანდილის ღირსეულად მატარებელი, შრომისმოყვარე... ათასი გაჭირვების მიუხედავად, მუდამ მომღიმარი და ტკბილად მოსაუბრე...

ჩემი ყურადღება თაროზე ჩამწკრივებულმა წიგნებმა მიიპყრო... „მხატვრული ლიტერატურაა, ძალიან მიყვარს. რესპუბლიკურ ღონისძიებებზე ხშირად დავდიოდი... როცა ვახერხებდი, წიგნებს ვყიდულობდი."

იცი შვილო, რაზე მწყდება გული? მთელი ჩემი ცხოვრება შრომაში გავატარე, მაწუხებს საქართველოს ვინ და ვინ არ დაეპატრონა, მე არც მშია და არც მწყურია, მაგრამ ჩემი სამშობლო უსაზღვროდ მიყვარს და მისი ბედი მაღელვებს, განვიცდი. ყველაზე მეტად უსამართლობას ვერ ვიტან. იმედია, სამართლიანობა აღსდგება და ქარველი კაცის ოცნებაც ახდება (მეც მინდა მოვესწრო!)...

გთხოვ, ჩემი სახელი არ ახსენო–დედის გული და კალთა გაგათბობს. მე ქართველი დედა ვარ და ისიც მეყოფა... დიდი მადლობა, შენი სტუმრობით ძალიან გამახარე, დიდი ხანია ასეთი გახარებული არ ვყოფილვარ. ღმერთმა დაგლოცოს.

ისღა დამრჩენია, ასეთ საოცარ ადამიანს, სათნო და კეთილ მეზობელს (მე მის თვალწინ გავიზარდე) თხოვნა შევუსრულო, მოვეფერო და მივულოცო გაზაფხულის ლამაზი დღესასწაული–დედის დღე. ვუსურვო ჯანმრთელობა და დიდხანს სიცოცხლე იმ ლამაზი ურთიერთობებით, რაც მას ახლობელ ნათესავებთან, ნაცნობ-მეგობრებთან და კუთხის მეზობლებთან აკავშირებს.

ძალიან, ძალიან მიყვარხართ!..

***ნაირა ბერაია,***
***პირველი ხორგა.***

## დედის დღე და გაზაფხული

აი, მე და ჩემმა პატარამ შევაღეთ საბავშვო ბაღის კარები და გაზაფხულმა შემოგვანათა... გაზაფხულივით ნაირფერი ყვავილებითა და ხატულა პეპლებით იყო მორთული ხობის მუნიციპალიტეტის №1 საბავშვო ბაგა-ბაღის სასკოლო ჯგუფის ყველა ოთახი. მართალია, აღსაზრდელებიცა და მშობლებიც მიჩვეული ვართ, რომ აქ ყოველდღე ვიღაც „ჯადოქარი" ლამაზად რთავს და ხატავს ბავშვთა სამყაროს, მაგრამ დღეს სულ სხვანაირად ბრწყინავს ყველაფერი.

დღეს ღია გაკვეთილია,–გვამცნო აღმზრდელმა ირმა ხურცილავამ. არ გაგვკვირვებია, რადგან ხშირია ასეთი გაკვეთილები; მაგრამ დღეს მას მუსიკის მასწავლებელი ფიქრია თოდუა ჩაატარებს,–დაასრულა მან. როგორც მშობელსა და დედას ერთი სული მქონდა მენახა და მომესმინა, რა ისწავლეს პატარა „ცუგრუმელებმა".

არც დამსწრე საზოგადოება აკლდა ამ გაკვეთილს. აქ იყვნენ მასწავლებლები მუნიციპალიტეტის სხვადასხვა ბაღიდან, წარმომადგენლები სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ცენტრიდან და მშობლები.

დაიწყო გაკვეთილი... ქალბატონმა ფიქრიამ დაფაზე გამოფინა ის მეთოდური სამუშაოები, რომელიც ჩაატარა ჯგუფში და, რაც ჩვენ უნდა გვენახა.

პატარებმა ჯერ დილის ვარჯიში ჩაატარეს, მერე მუსიკაში ზოგადი განათლება გვანახეს, ნოტები ჩამოთვალეს, თუ სად და როგორ იწერება თავიანთი ხელებით შეასრულეს. შემდეგ ჩამოთვალეს თუ რომელ საკრავ ინსტრუმენტებს იცნობენ, თურმე იმასაც არჩევენ, რომელია ჩასაბერი, სიმებიანი, დასარტყამი თუ კლავიშებიანი. შემდეგ პატარა დირიჟორის თანხლებით ორკესტრის იმიტაცია გააკეთეს.

...აი, დედებს სიურპრიზი მოუწყვეს... თავიანთი ხელებით გაკეთებული ბარათები მოგვართვეს... და კიდევ „ია, ია დაგიკრიფე", „რას ინატრებ იავ, რასა", „ჩემს სიცოცხლეს მირჩევნია", „დედა ჰქვია დედაციხეს", „დიაჩქიმის ნაცხვაბარა, ჯიბეს მონტუ ჭიჭე ფარა"... გაბრწყინებული თვალებით გვილოცავენ პატარები.

დედებიც ჩავერთეთ სახალისო კითხვებში, შემდეგ მელოდიებიც გამოვიცანით სხვადასხვა სიმღერებიდან და ყვავილებიც დავიმსახურეთ.

ეს იყო კიდევ ერთი ლამაზი დღე, რომელიც მშობლებს აჩუქეს. მე, როგორც მშობელი და დედა, მადლობას გიხდით ქალბატონო ფიქრია იმ შრომისათვის, რაც თქვენ ჩადეთ ამ პატარებში.

ეს პირველი ღია გაკვეთილი იყო, რომელიც ქალბატონმა ფიქრია თოდუამ წარმატებით ჩაატარა. თქვენ ახალგაზრდა ქალბატონი ბრძანდებით, თქვენი პროფესიონალიზმი და პატარებისადმი ესოდენ დიდი სიყვარული დაგეხმარებათ მომავალ გამარჯვებებში. მსურს, წარმატებები და ასეთი ლამაზი დღეების სიმრავლე გისურვოთ.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დედის დღე და გაზაფხული მივულოცო ყველა დედას და ქალბატონს, №1 ბაგა-ბაღის გამგეს მარინე შონიას, აღმზრდელს–ირმა ხურცილავას, მუსიკის მასწავლებელს ფიქრია თოდუას, ძიძებს–თამუნა მირცხულავას და თეა თოფურიას. ვუსურვო მათ ბედნიერი დედობა, სითბო და სიხარული.

***ლალი შალამბერია,***
***მშობელი.***

## იქ მზრუნველი ადამიანები გველიან!

ხობის მუნიციპალიტეტის სათნოების სახლში მისული ულუკმაპუროდაც დანაყრდები, რადგან იქ გვხვდება სითბო, კეთილგანწყობა, მზრუნველი თვალები, რაც აგრერიგად აკლია იმ ბენეფიციართა უმრავლესობას, ვინც იქ სადილობს, ერთობა და სულის საზრდოს პოულობს.

სათნოების სახლში, რომლის დირექტორი ირმა გაბუნია გახლავთ, შვიდი ქალბატონი მუშაობს. ძნელია ერთმანეთისაგან გაარჩიო დირექტორის მოადგილე აზა კვირკვაია, უფროსი მენეჯერი ლელა ქანდარია, მთავარი სპეციალისტი ნანა დგებუაძე და სვეტა გვასალია გულისხმიერებით ერთნაირად გამორჩეულები არიან. იქ მისულნი ყოველდღიურად ვგრძნობთ ამ განწყობას.

უფროსი მზარეული ფირუზა ბერაია, მზარეულები ნარგიზა სახეიშვილი და ლარისა მირგატია გახლავთ. კარგი, გემრიელი საჭმლის გაკეთებას კარგი გულის და სინდისის ადამიანი უნდა. ხომ არის ნათქვამი: „ცივი გულით მორთმეული ცხელი მწვადი, ცივი ჭადივითაა, თბილი გულით მორთმეული ჭადი კი თბილი მწვადივითო". თითქოს ეს სათნოების სახლის თანამშრომლებზე უთქვამთ. ისინი ყოველთვის არამარტო ღიმილს აფრქვევენ, არამედ გვამხნევებენ, ყველაფერს აკეთებენ, რათა დაგვავიწყონ ჩვენი დუხჭირი ყოფა, ყოველდღიურობა. მადლობა მათ ამ დიდსულოვნებისა და პასუხისმგებლობისთვის.

მინდა ამ ლამაზ ქალთა კოლექტივს მივულოცო მარტის ქალთა დღესასწაულები, ვუსურვო დიდხანს იყვნენ სიკეთის მთესველები. მათი მზრუნველობა არ მოკლებოდეს მათ შემყურე ადამიანებს.

**პოლმირა აბურჯანია**

## განსხვავებული აზრი

### შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარეს,

**ქალბატონ მერი ლაგვილავას!**

ქალბატონო მერი! თქვენი გაზეთის ბოლო გვერდზე გამოტანილი პოსტულატი:–„გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით“–სამწუხაროდ, „ნაციონალური მოძრაობის“ მმართველობის პერიოდში, ტაბუდადებული თემა იყო, არც კოჰ აბიტირებული ხელისუფლების მოსვლის შემდეგ შეცვლილა, მგონი ბევრი რამე...

...საპარლამენტო არჩევნებში პირწმინდად წაგებული კონსერვატორები, ადგილობრივ ხელისუფლებაში მოვიდნენ და მიშა სააკაშვილისა არ იყოს (2008 წლის აგვისტოს, წაგებული ომი, რომ გვაზეიმა) ჩვენც, წაგებული კონსერვატორები გამარჯვებულებად გამოგვაცხადებინეს, არადა ისინი ხობისთვის პრობლემების მოხსნის ნაცვლად, პარლამენტში შემთხვევით (უფრო სწორად ბატონ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტითა და „ნაციონალების“ სიძულვილის შედეგად) მოხვედრილთ უმთავრეს პრობლემად ის მიუჩნევიათ, პარლამენტის სხდომებზე ჩოხა-ახალუხითა და ჩიხტი-კოპებით, თუ „პიერ კარდენის“ კოსტუმებით ისხდნენ.

ჩოხა-ახალუხის უმთავრესი ატრიბუტია–სატევარი, და თუ ჩოხის ტარების პრეტენზია გაქვს, ვაჟასი არ იყოს, 2007 წლის 28 ოქტომბერს ზუგდიდში, მთელი ქვეყნის დასანახად, შენს ცოლზე ხელის აღმმართველის, მოჭრილი მარჯვენა მაინც უნდა გეკიდოს საკუთარი სახლის ჭერხოზე... (ბიძინა გუჯაბიძეზე და მის მეუღლეზეა საუბარი)...

...ერთ კონკრეტულ საკითხზე გაწუხებთ! თქვენდამი რწმუნებული გაზეთის, 2012 წლის 29 დეკემბრის ნომერში გამოქვეყნდა ხობის რაიონის „ახალ ხელმძღვანელთა“ ბიოგრაფიები, გამგებლის მოადგილის მოვალეობის შემსრულებელ, როსტომ კილასონიას აღნიშნული აქვს, რომ ის თითქოსდა 2007–2012 წლებში იყო არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები–ადამიანის უფლებებისათვის“ წევრი. ამ ორგანიზაციის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნანა კაკაბაძემ კატეგორიულად უარყო კილასონიასთან ნაცნობობაც კი და მას, სამწუხაროდ, ბიოგრაფიაში არასწორი ფაქტების მოხმობის გამო თაღლითიც კი უწოდა. კილასონიას ვერც „7 ნოემბრის“ დამფუძნებლები იხსენებენ (ერთ-ერთი დამფუძნებელი, ჩემი შვილი, ილია წურწუმიაა).

ხობელებისათვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ვინ იქნება გამგებლისა და მოადგილის მოვალეობის შემსრულებელი, ერთი კია, ახალგაზრდა „ხალხი“ ცხოვრების გზას სიყალბით, რომ იწყებს, სამწუხაროა.

ისტორია ისეთი მკაცრი და მოუსყიდველი არქივარიუსია, ხობის რაიონის აღმაშენებელ ღირსეულ ადამიანთა შორის: როგორებიც იყვნენ და არიან–ალექსანდრე (ალიოშა) წურწუმია, გენო ტორჩინავა, ლევან ლატარია, ჭიჭიკო ლატარია, ვალიკო კილასონია, ვახტანგ დოლბაია, მაკარ ფალავა, ბადრი ლატარია, ბადრი არზიანი, ზურიკო ბუბუტეიშვილი, ენუქი თევზაძე, ჟორა ქაქუთია, ნუგზარ ჭოჭუა...

...ნუგზარ ნადარაია, მამა კირიონი, მიმოზა ლადუა, ნარგიზა ტუღუში, მუხრან ცხადაია და სხვა ასეულობით ღირსეული ქართველი, რომლებიც ხობის სახეს წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ, თავიანთი „კოლორიტული“ ადგილი სერგო მსხვილაძესა და კობა (ჯიმშერ) კვიკვინიასაც კი აქვთ მოპოვებული...

ხობელობა თანამდებობა არაა, ის წოდებაა როგორც „კოლხობა“, „იბერიელობა“, „სამასი არაგველობა“, „ცხრა ძმა ხერხეულიძეობა“, „ცოტნეიდელობა“, „ბერი თევდორეობა“ და ვაი მას, ვისაც „ხობელობის“ თიკუნი არ შეხვდება, უღირსებს „ხობელად“ არც ცოცხლებში და არც გარდაცვლილებში არავინ მოიხსენიებს, რაც არ უნდა იძახონ:–„დავით აღმაშენებლის სპასალარი და საჭურველთმტვირთველი ვიყავიო“–ნათქვამია–„საქმემან შენმან გამოგაჩინოსო!“

***პატივისცემით თქვენი ყოფილი კოლეგა, თქვენი გაზეთის წინაპარ–„სამეგრელოს“ ნათლია***

***ედიშერ წურწუმია,***

***ხობი. 2013 წლის 11 მარტი.***

*P.S. ნამდვილად არ მაქვს მიზნად თქვენი პრინციპულობის გამოცდა, უბრალოდ თუთაშხიას პრინციპი–„ჯერ წესია, წესი“ მოვიშველიე და როგორც „პირველწყაროებს“, თქვენ მოგმართეთ და თუ „რაიონის მამები“, ჩემი რეპლიკის გამოქვეყნებას არ დაგანებებენ, გული არ გაიტეხოთ, როგორც დიდი მაესტრო ვლადიმერ ქორთუა იტყოდა; „რეზოსა და გიულის ნაბანი წყალი მირჩევნიაო, პარტიის რაიკომის „წყაროს ანკარას!..“ ურჩიეთ, ვისაც ჯერ არს, რესპუბლიკური პრესის ფურცლებზე გამოჭენებას, „შინაურული“, „ხობის მოამბე“ ერჩიოთ.*

**ე.წ.**

**მარხვა—უფლისთვის მცირე შესაწირავი**

# აღდგომის დიდი მარხვა დაიწყო



მარხვა არის ისეთი დღეები, როდესაც აკრძალულია არა მარტო სახსნილოს (ხორცის, ყველის, რძის, კვერცხის) ჭამა, არამედ საზოგადოდ მომეტებული ჭამა-სმა. მარხვები დაწესებულია წმიდა მამებისგან მისაბამად მაცხოვრისა, ღვთისმშობლისა და მოციქულებისა. აგრეთვე საღმრთო ისტორიაში რომელიმე სამწუხარო წმიდა შემთხვევის აღსანიშნავად. მარხვა არის ერთდღიანი და მრავალდღიანი. ერთდღიანი მარხვებია: **ოთხშაბათი – მოსახსენებლად იესო ქრისტეს გაცემისა იუდაისკარიოტელისაგან; პარასკევი–მოსახსენებლად იესო ქრისტეს ჯვარცმისა და სიკვდილისა.** 5/18 იანვარი – ნათლისღების წინა დღე. (მძიმე მარხვა) 29/11 სექტემბერი – მოსახსენებლად იოანე ნათლისმცემლის თავისკვეთისა.



(მძიმე მარხვა) 14/27 სექტემბერი – ჯვართამაღლება, მოსახსენებლად იესო ქრისტეს ჯვარცმისა (მძიმე მარხვა).

**დიდი მარხვა (აღდგომის მარხვა)**

ორი მსგეფსი წინ უძღვის დიდმარხვას: პირველია - უძღები შვილის კვირა, მეორეა –ყველიერის კვირა–უშუალოდ მარხვის დაწყებამდე (ხსნილია რძის ნაწარმითა და კვერცხით).

ხანგრძლივი და ძალზედ საპასუხისმგებლოა დიდი წმიდა მარხვა, რომელიც აღდგომის წინ 49 დღით ადრე იწყება და ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაულამდე გრძელდება. დიდი მარხვის დროს ორი უდიდესი დღესასწაულია ხარება და ბზობა; **ხარება**-მთავარანგელოზ გაბრიელის მიერ ქალწულ მარიამისადმი უწყება იმისა, რომ მისგან კაცობრიობას მოევლინებოდა უფალი ჩვენი იესო ქრისტე; **ბზობა** – იესო ქრისტეს დიდებით შესვლა იერუსალიმში. ბზობის დღესასწაულს წინ უძღვის **„ლაზარეს შაბათი“**, ეკლესია ამ დღეს დღესასწაულობს იესო ქრისტეს მიერ თავისი მეგობრის, ოთხი დღის მკვდარი ლაზარეს აღდგინებას. ბზობის დღესასწაული ხსნილია თევზით. მორწმუნეთ ურიგდებათ ნაკურთხი ბზის ტოტები, ნიშნად იმისა, თუ როგორ უფენდნენ მწვანე რტოებს ებრაელები იესო ქრისტეს, როცა ის დიდებით შედიოდა იერუსალიმში პასექის უკანასკნელ დღესასწაულზე. წინა წელს ნაკურთხი ბზის ტოტები დაუშვებელია უდიერად გადაიყაროს, არამედ უნდა დაიწვას, ან ტაძრის ეზოში, ან სადმე წმიდა ადგილას.

**წმიდა ეკლესია დიდი მარხვის პერიოდში, ორმოცი დღის განმავლობაში იხსენიებს მიცვალებულებს, რომელსაც ეწოდება ორმოცდღიანი მოსახსენიებელი; ყოველ შაბთს დიდ მარხვაში კეთდება მიცვალებულთა სახელზე საკურთხი, გარდა დიდმარხვის პირველი კვირის შაბათისა.**

**ვნების შვიდეული** დიდ მარხვის მომდევნო კვირაა. ამ შვიდეულში მოხდა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმიდა ვნება ჯვარზე. ამ კვირაშიც, დიდ მარხვის პირველი კვირის მსგავსად მკაცრად ვმარხულობთ (უზეთოდ, ვისაც ეს ძალუძს), გარდა ხუთშაბათისა. ხუთშაბათი ზეთით ხსნილია. ამ დღეს იესო ქრისტემ თავისი 12 მოწაფის საიდუმლო სერობა მოიწვია და დააწესა **ზიარების** საიდუმლო. ყოველი მართლმადიდებელი უნდა ეცადოს ამ დღეს ზიარებას.

**დიდი ხუთშაბათიდან მოყოლებული წმ. ეფრემ ასურის სინანულის ლოცვა „უფალო და მეუფეო“ აღარ იკითხება, ე.ი. ამ ლოცვის კანონი წყდება.**

ვნების შვიდეულში მთელი წლის განმავლობაში ყველაზე მძიმე დღე **„წითელი პარასკევია“**. ამ დღეს მოხდა ჯვარცმა და ხორციელი სიკვდილი უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ამ დღეს სრულდება „გარდამოხსნის გადმოსვენება“. დილით კი, იკითხება „თორმეტი ვნების სახარება“.

**დიდ შაბათს,** დილით, სრულდება გარდამოხსნის შემოტარება ტაძრის გარშემო, რის შემდეგაც მას შუა ტაძარში დაასვენებენ. ეს მომასწავებელია უფლის წმიდა სხეულის გადმოსვენებისა ჯვარცმის ადგილიდან მისთვის გამზადებულ საფლავში. ყოველივე ამის შემდეგ, ხდება მზადება **უფლის ბრწყინვალე აღდგომის** შესახვედრად.

**დიდ მარხვაში იკითხება წმიდა ეფრემ ასურის ლოცვის კანონი ყოველდღიურად 16 მეტანიით (კვირის გარდა).**

# ა უ ქ ც ი ო ნ ი

## ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზებაზე

| № | დასახელება | მდებარეობა | ექსპლოატაციაში შესვლის წელი | რაოდენობა | ერთეულის ფასი (ლარი) | აუდიტის შეფასება | საწყისი გასაყიდი ფასი | ოდენობა 10 % | ,,ბიჯი“ | მონაწილის ბილეთი ფასი |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფინური სახლი | თორსა | 1970 | 1 | 455 | 455 | 455 | 45.50 | „ბიჯი“ | 20 |
| 2 | მაღაზიის შენობა | თორსა | 1980 | 1 | 290 | 290 | 290 | 29 | 10% | 20 |
| 3 | მე-2 ჭიხუს მაღაზია | ჭიხუ | 1975 | 1 | 360 | 360 | 360 | 36 | 10% | 20 |
| 4 | წყლის მრიცხველი | ახ. სოფელი | 2008 | 4 | 100 | 400 | 400 | 40 | 20% | 20 |
| 5 | წყლის მრიცხველი | საგვიჩიო | 2008 | 3 | 30 | 90 | 90 | 9 | 10% | 20 |
| 6 | წყლის ლითონის მილები | გურიფული | | 364.8 მ | 10 | 3648 | 3648 | 364.80 | 10% | 20 |

განცხადების მიღების ადგილია ქ. ხობი, ც. დადიანის ქუჩა №189, ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა, ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახური.

განცხადების მიღების ვადაა გაზეთში ინფორმაციის გამოქვეყნებიდან აუქციონის ჩატარების დღემდე 10-00 საათიდან 18-00 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა), ხოლო აუქციონის ჩატარების დღეს 10-00 საათიდან 14-00 საათამდე.

აუქციონის ჩატარების თარიღია 2013 წლის 5 აპრილი, 15-00 სთ.

საბანკო რეკვიზიტები: ერთიანი ანგარიში არასაგადასახადო–20122900, მიმღები ბანკი–სახელმწიფო ხაზინა, ბანკის კოდი–220101222, სახაზინო კოდი–300403313.

აუქციონის ფორმით შენობის პრივატიზებისას გამყიდველის და მყიდველის მიერ ხელმოწერილ აუქციონში გამარჯვების დამადასტურებელი ოქმი არის წერილობითი ხელშეკრულება, გამარჯვებული პირის მიერ აუქციონში გამარჯვებისას დამადასტურებელ ოქმზე ხელის მოწერაზე უარის თქმა ართმევს მას გამარჯვებულის სტატუსს.

აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია, აუქციონის ჩატარებიდან საქართველოს კანონით განსაზღვრულ ვადაში გამგეობასთან გააფორმოს ხელშეკრულება. აგრეთვე აუქციონის შედეგების ოქმის დამტკიცების მომენტიდან 30 დღის განმავლობაში დაფაროს მის მიერ აუქციონზე დასახელებული საბოლოო თანხა, მყიდველმა საკუთარი ხარჯებით უნდა მოახდინოს შენობის დაშლა, ტერიტორიის გაწმენდა ნარჩენებისაგან, ასევე საკუთარი ხარჯებით დაამზადოს მეორადი ლითონი წინააღმდეგ შემთხვევაში მყიდველს არ მიეცემა საკუთრების უფლება და ,,ბე“-ს შენატანი არ დაუბრუნდება, აუქციონის შედეგები გაუქმდება.

აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრატორს უნდა წარედგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) დამტკიცებული ფორმის მიხედვით შევსებული განაცხადი (მიიღებთ გამგეობაში);

ბ) „ბე“-ს და მონაწილის ბილეთის ფასის შენატანის დამადასტურებელი საბანკო ქვითარი;

გ) პირადობის მოწმობის ასლი:

დ) იურიდიული პირები დამატებით წარმოადგენენ ნოტარიალურად დამოწმებულ სადამფუძნებლო დოკუმენტის ასლს;

ე) ნოტარიალურად დამოწმებული მინდობილობა, თუ მყიდველი მოქმედებს სხვა პირის სახელით.

საუქციონო კომისიის ზონარგაყრილ დავთარში განაცხადის რეგისტრაციის მომენტიდან განმცხადებელი იძენს აუქციონში მონაწილის სტატუსს. აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საწყის გასაყიდ ფასზე ბიჯის დანამატის შედეგად მაქსიმალური ფასის გადახდა.

ქონების შესახებ დამატებითი ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში.

**ხობის მუნიციპალიტეტის გამგეობა**

## სსიპ ხობის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა აცხადებს

# აუქციონს

## მეორადი ნედლეულის (ჯართი) გაყიდვის თაობაზე

აუქციონზე გატანილი იქნება 1225კგ ჯართი ღირებულებით 383 ლარის.

განცხადებები მიიღება 15 კალენდარული დღის განმავლობაში შემდეგ მისამართზე: ხობის მუნიციპალიტეტი. სოფელ ახალსოფლის საჯარო სკოლა.

აუქციონში მონაწილეობის მიღების მსურველებმა უნდა წარმოადგინონ ,,ბე“-ს შეტანის დამადასტურებელი ქვითარი სოფ. ახალსოფლის საჯარო სკოლის საანგარიშსწორებო ანგარიშზე:

ანგ. №GE29LB0112141905100000

ს/კოდი 244556805

ბანკის კოდი LBRTGE22

აუქციონი ჩატარდება ახალსოფლის საჯარო სკოლის ადმინისტრაციულ შენობაში მ/წლის 2 აპრილს.

აუქციონზე გამარჯვებულად ცხადდება მონაწილე, რომელიც გადაიხდის მონაწილეთა შორის მაქსიმალურ თანხას.

**სკოლის ადმინისტრაცია**

# გამოსათხოვარი

## ცისანა (ციცო) კვარაცხელია



მწუხრის ზარმა ჩამოკრა და შეწყდა თქვენი ამქვეყნიური ცხოვრების ფუტკარივით შრომით გავლილი გზა. დასანანია თქვენი სიკვდილი ქალბატონო ციცო. თქვენ ხომ ოჯახის ბურჯი იყავით, ყველაფერს აკეთებდით თქვენი ქალ-ვაჟისა და შვილიშვილების საკეთილდღეოდ. ძალიან გიჭირდათ საყვარელი მეუღლის ბატონი ლუკო ქანდარიას გარდაცვალება, მაგრამ არაფერს იმჩნევდით. აგრძელებდით მის ტრადიციებს, იყავით სტუმართმოყვარე, სხვათა სიკეთის ქმნაში იხარჯებოდით.

თქვენ სოფელს კეთილი საქმე გაუკეთეთ, მონდომებითა და უდიდესი შრომის ფასად დაგიჯდათ პირველ მაისში საბავშვო ბაღის დაფუძნება, გახსნა და დღემდე შეუნარჩუნეთ სოფელს. დიდ დროს ატარებდით სამსახურში, ის თქვენი მეორე ოჯახი იყო. 54 წელი შეალიეთ პატარებზე ზრუნვას, არც მთავრობის ჯილდოები გაკლდათ და არც საზოგადოების სიყვარული. სიცოცხლის ბოლო წუთამდე ცდილობდით ბაღისთვის რამე სიკეთე გეკეთებინათ.

ძალიან დააკლდებით როგორც ოჯახს, ისე თანამშრომლებს, თქვენს აღსაზრდელებს.

თქვენი ნათელი ხსოვნა მარადის დარჩება ჩვენს გულებში. ყოველთვის მოგიგონებთ, როგორც მოწესრიგებულ, გამორჩეულ, პატივსაცემ პიროვნებას, მისაბაძ დედასა და ბებიას.

ღმერთმა გაცხონოთ და აბრამის წიაღში დაამკვიდროს თქვენი სული.

***პირველი მაისის საბავშვო ბაღის თანამშრომლები.***

* * *

მარტის ამ არეულ დღეებში კიდევ ერთი ლამაზი ქალბატონი გამოემშვიდობა სააქაოს და მარადისობაში ჰპოვა სასუფეველი. წავიდა ჩვენგან ვალმოხდილი პიროვნება, ერთგული მეგობარი და სანიმუშო მუშაკი.

ციცო კვარაცხელია–ქანდარია დაიბადა 1939 წელს წალენჯიხაში, 1958 წელს მუშაობა დაიწყო კოლხიდმშენის საამშენებლო უბანში საბავშვო ბაღის აღმზრდელად, შემდეგ იყო ქვემო ქვალონის საბავშვო ბაღის გამგე, 1968 წელს გადაყვანილიქნა პირველი მაისის საბავშვო ბაღის გამგედ, სადაც დღემდე მუშაობდა.

ბევრ თაობას გაუვლია ქალბატონი ციცოს ხელში, ძალიან ბევრი სიკეთე, სითბო მიუცია თავისი აღსაზრდელებისათვის, დედასავით მოფერებია და ცოდნისა და სიკეთის პირველი მარცვალიც გაუღვივებია.

ქალბატონი ციცო არ იყო მხოლოდ „ჩარჩოში“ მოქცეული მასწავლებელი, ის არასდროს არ რჩებოდა დროის მოთხოვნებს, მუდმივად იმაღლებდა კვალიფიკაციის დონეს, თავის საქმეს უდგებოდა შემოქმედებითად. სწორედ აქედან გამომდინარე, 1988 წელს მას საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მიერ მიენიჭა „სახალხო განათლების წარჩინებულის“ წოდება, ხოლო 1985 წელს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს მიერ დაჯილდოებულიქნა მედლით „შრომის ვეტერანი“.

ცისანა კვარაცხელიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მისი მეგობრების გულებში.

***სკოლამდელი სააღმზრდელო გაერთიანების ადმინისტრაცია; მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების მთავარი სპეციალისტები.***



# მიყვარხარ, დედა!

(კატუშა წურწუმია)

...სამსახურში საღამომდე დავრჩი, გიორგის ველოდებოდი. უცებ დედაზე ლექსის დაწერა გავბედე... ეს შენზე აკვიატებულმა დარდმა და ფიქრმა გადამაწყვეტინა, დედა! დარდი და ცრემლი არასდროს მაკლია ამ ბოლო წლებში, მით უფრო, როცა ჩემს ფიქრებთან მარტო ვრჩები.

მარტის თვე მიყვარდა, ახლა მტკივა მარტი. მიყვარდა იმიტომ შენ და მაყვალა რომ დაიბადეთ ამ თვეს. მერე შემძულდა, შენი თავი, რომ წაგვართვა. ექვსი წელია საბოლოოდ შევიძულე. გოგის გარდაცვალებასთან ასოცირდება იგი. და მტკივა მარტი, მტკივა და გაუსაძლისია ეს მოგონებაც.

დღეს ხუთი მარტია, სამი მარტი ჩემს გულში მოგილოცე დედა! 9 მარტს, შენს დაბადების დღეს სანთლებს აგინთებ და კიდევ ერთხელ შორიდან მოგეფერები ჩემო დედიკო–ჩემო მოხუცო ქალბატონო. ეჰ, მეც ვბერდები, დედი! გული დარდმა დიდიხანია დამიბერა. ჰო, ასეა...

დედიკო, ჩემო ლამაზო დედიკო, გილოცავ დაბადების დღეს. მომენატრე, დედა, ძალიან მომენატრე. ახლა უსაშველოდ მომინდა შენი ნახვა და ჩახუტება...

მიყვარხარ, დედა!

**ნანი კილასონია**

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა პირველი მაისის საბავშვო ბაღის მთავარი სპეციალისტი

**ციცო კვარაცხელია**

და თანაუგრძნობენ მის ოჯახსა და ახლობლებს.

ხობის ომის, შრომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა კავშირის გამგეობა იუწყება, რომ გარდაიცვალა ომის მონაწილე

**ხუხი ჯაკონია**

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

## მოლოცვები

### მანანა შულაიას

გაზაფხულია. ქალივით ნაზი, თბილი და ლამაზი. გაზაფხულის დადგომას მოჰყვა შენი მოვლინება ამ ქვეყანაზე. იტყვიან, მარტი ლამაზია და ჭირვეული. არ ვიცით, რამდენად ჭარბობს შენში ეს თვისებები, თუმცა ჩვენთვის, რედაქციელებისთვის ამას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ გვიყვარხარ და გვეიმედები.

ჩვენო მანანა, შენი სითბო, ალერსი, სიყვარული და თანადგომა არ მოკლებოდეს შენს საყვარელ ერთადერთ ვაჟიშვილს, მეუღლეს, ახლობლებს... ჩვენ, რედაქციელებს.

შენი ცხოვრების „შუადღემ“ გადაიარა... გილოცავთ დაბადების 60 წლისთავს და დედის დღეს 3 მარტს, ულევ სიხარულს, ბედნიერებას, საყვარელი ადამიანების სიცოცხლის სიმრავლეს გისურვებთ. წლების სრბოლა როდია სიბერე. წლები გაათმაგგებოდეს.

იყავი ჯანმრთელი და ბედნიერი. ღვთის წყალობა და წელთა სიმრავლე ყოფილიყოს შენი ცხოვრების მეგზური.

***რედაქციელები.***

### ნაირა ბუკიას!

მე რომ რაჭველივით „ჯანჯალი“ კაცი ვარ, ეს ჩვენმა ახლობლებმა კარგად იციან, განსაკუთრებით დაბადების დღეების მოლოცვის საქმეში. ახლაც, ამ წუთში რედაქციაში წავიკითხე რედაქციელების მოლოცვა თქვენს დაბადების დღესთან დაკავშირებით. ბევრი კარგი (სამწუხაროდ ცუდიც!) დღეები გვაქვს მოსაგონარი.

ამასობაში 8 მარტიც დადგა. გილოცავ! დიდი ხნის სიცოცხლეს და ოჯახურ სიტკბოებას გისურვებ.

არასოდეს დამავიწყდება, არც თუ ისე დიდიხნის წინ ერთმანეთს შევხვდით გაზეთების ჯიხურთან, შენ მაშინ მითხარი: „შეიძლება ოჯახში პურზე ეკონომია გავაკეთო, მაგრამ უგაზეთობა არ შეგვიძლიაო“. სხვანაირ მოსაზრებას არც ველოდი ბატონი ვახტანგ დოლბაიას ოჯახის წევრებისაგან.

დიდხანს იცოცხლე და იხარე შენი შვილების ბედნიერებით!

***გოგი ბუკია.***

## თაობა

### ოლიმპიადის გამარჯვებული



„ევერესტი“ ეს არის მათემატიკური ოლმპიადა მოსწავლეთათვის. იგი 2009 წელს დაარსდა და ამჟამად ის ყველაზე დიდი მათემატიკური ოლიმპიადაა საქართველოში. მათემატიკური ტურნირი არა მხოლოდ თბილისში, არამედ რეგიონებშიც ტარდება.

უკვე მესამე წელია „ევერესტი“ აქტიურად ეძებს ყველაზე ჭკვიან ბავშვებს და ყოველ ოლიმპიადაზე ანებივრებს მათ ძვირფასი საჩუქრებით. ოლიმპიადის მიზანია ბავშვებმა ლოგიკური აზროვნებისა და ანალიზის უნარი განივითარონ, საინტერესო ამოცანებს გაეცნონ, ტესტური დავალებების შესრულებისა და ოლიმპიადაში მონაწილეობის გამოცდილება მიიღონ, გაიზარდოს მათში მათემატიკის სწავლის მოტივაცია, ჩაერთონ პედაგოგები,სტუდენტები და უფროსკლასელები ოლიმპიადის მსვლელობაში, მოხდეს დაახლოება და თანამშრომლობა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის.

ხობის №2 საჯარო სკოლა „ევერესტის“ დაარსების დღიდან აქტიურადაა ჩართული კონკურსში და წლების მანძილზე მოსწავლეთა უამრავი გამარჯვება აქვთ აღნიშნულ კონკურსში მოპოვებული. ამ კონკურსში მიღწეული წარმატებისათვის კონკურსანტთა შორის გახლდათ ხობის №2 საჯარო სკოლის IV კლასის მოსწავლე გიორგი ვადაქარია, რომელიც მიღწეული წარმატებისათვის სიგელით დაჯილდოვდა. შემდეგ კი გიორგი კვლავ ამ კონკურსში მონაწილეობისათვის ხობის მასშტაბით პირველი ადგილისათვის დაჯილდოვდა.

გიორგი სკოლაში ბეჯითი მოსწავლეა, მის წარმატებებს მისი პედაგოგის მთვარისა ჯაკონიას დამსახურებად მიიჩნევს.

გიორგი ამჯერადაც ამავე კონკურში მონაწილეობისათვის ემზადება... წარმატებებს ვუსურვებ პატარა ნიჭიერს!

**ნანა კემულარია**

## კროსვორდი



**შვეულად:** 1.კინოტრიუკების ოსტატი; 6.ყურის ანთება; 9.ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო; 10.მონღოლი დამპყრობელი; 11.ცეცხლსასროლი იარაღი; 12. ...ფიცჯერალდი; 13.ფინური აბანო; 14.ქ/მსახიობი ზურაბ; 15.ქალაქი ა.შ.შ.-ში; 18.ფრინველების სახლი; 19.პატარა ტანის ცხენი; 21.ჩილეს დედაქალაქი; 24.მექსიკური არაყი; 26.მალტის დედაქალაქი; 27. ტბა თბილისში; 29.მექსიკური სერიალი; 30.იტალია სერია B-ს საფეხბურთო გუნდი.

**თარაზულად:** 1.დავა, პაექრობა; 2.ექვსფრთიანი ანგელოზი; 3. ქართველი მწერალი ...მორჩილაძე; 4.ვაზის ჯიში; 5.ქრისტეშობის თვე; 7. გრძელი თეთრი წამოსასხამი ძველ რომში; 8.ჰოლანდიის საფეხბურთო გუნდი; 13.ლიტერატურული პრემია; 15.მუსიკალური ნოტი; 16.ქაღალდის ფული; 17 მოზამბიკის დედაქალაქი; 20. თვალის ფერადი გარსი; 22.ჩანჩქერი ამერიკაში; 23 საქ-ოს მე-20ს-ის 90 იანი წლების ერთ-ერთი პოპულარული ანსამბლი; 25.ცეცხლის ენა; 27.ფულის ერთეული ბულგარეთში; 28; კვიპაროსი.

**კროსვორდი შეადგინა ლაშა ცატავამ.**

## „ვკითხულობ საკუთარ ლექსებს“

7 მარტს ხობის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლში გაიმართა დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ნორჩ მხატვართა წრის მოსწავლეებმა და მოეწყო მათი ნამუშევრების გამოფენა, ხოლო ნორჩმა ჟურნალისტებმა ლიტერატურული კომპოზიციით გამოხატეს ქართველი ქალის, ქართველი დედის გამორჩეულობა და ის განსაკუთრებული მისია, რომელიც მას აკისრია ერისა და ქვეყნის წინაშე. შემდეგ ჟურნალისტების მიერ სცენა დაეთმო ახალგაზრდა შემოქმედს, ამ წრის წევრს თემურ ალანიას, რომლის ლექსების პრეზენტაციაც გაიმართა,სახელწოდებით „მე ვკითხულობ საკუთარ ლექსებს“.

ღონისძიებას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები.ღონისძიებამ მაყურებელთა მოწონება დაიმსახურა.

**ნანა კემულარია**

## იყავით კეთილმოქმედნი!

### 4 წლის მარიამ ადონია თქვენს იმედადაა



ხობელი მარიამ ადონია ჯერ მხოლოდ 4 წლისაა და თითოეული თქვენგანისგან შველას ითხოვს, რათა თანატოლების მსგავსად გაიაროს. დედას, რომელიც თავს ევლება, სიტყვით მოეფეროს და მისი და-ძმის მსგავსად ყველასათვის სანუკვარი სიტყვა „დედა“ დაუძახოს. მისი დიაგნოზი დაბადებიდან ცერებრალური დამბლაა.

სოციალურად დაუცველმა, მრავალშვილიანმა ოჯახმა ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ მას რეაბილიტაციის ერთი კურსი თბილისში „სანნის“ კლინიკაში გაევლო.

ამჟამად მას სჭირდება კიდევ ორი კურსი, ძვირადღირებული მკურნალობა, მშობლები ხათუნა გვალია და ვლადიმერ ადონია მხოლოდ კეთილი ადამიანების დახმარების იმედით არიან.

მარიამ ადონიას სახელზე ლიბერთი ბანკის ხობის ფილიალში გახსნილია ანგარიში №GE40BD211196301345000. თქვენს მიერ გაღებული თუნდაც ერთი ლარი, მას მკურნალობის საშუალებას მისცემს.

დავეხმაროთ პატარას, ის თქვენი კეთილშობილების მოლოდინშია.

**გაზეთ „ხობის მოამბეს“ რედაქცია.**

დამფუძნებელი: ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულო.
გამომცემელი შპს „ხობის მოამბე“
სარედაქციო კოლეგია: თავმჯდომარე შ.პ.ს. „ხობის მოამბეს“ დირექტორი–მერი ლაგვილავა.
თავმჯდომარის მოადგილე, დირექტორის მოადგილე–ნანი კილასონია.
რედაქტორი–მანანა შულაია.
ჟურნალისტები–ნანა კემულარია, ნინო გერგაია, რეკლამისა და მარკეტინგის მენეჯერი ლაშა ცატავა.
კომპიუტერული უზრუნველყოფა–ჯულიეტა ლატარია.
გაზეთი აეწყო და დაკაკაბადონდა შპს „ხობის მოამბეში.“
მის: ხობი, წმინდა ნინოს ქუჩა №1 ტელ: 0 (414) 22-21-13; 22-25-81; 599-50-40-57. ელ. ფოსტა: xobismoambe@mail.ru
დაიბეჭდა შ.პ.ს. გამომცემლობა „კოლორში“. თბილისი, რკინიგზის ჩიხი №20.
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. გაზეთში დაბეჭდილ მასალის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.